ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 580

22 ნოემბერი
"---"-------- 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილების 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 ნოემბრის №24.1908.2136 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" (ს/კ. 405147755) შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ჩატარებული აუქციონის განსაკუთრებული პირობების „ბ" პუნქტის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბების თაობაზე:

„ბ) არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრისა განახორციელოს არანაკლებ 80 (ოთხმოცი) ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური/დამხმარე ფართისა, უნდა იყოს არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) კვ.მ.".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე